



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

801 / 321 17 / 10 2022

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

წინამდებარე წერილით წარმოგიდგენთ „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მოსაზრებებს კომპანია RMG Gold-ის¹ მიერ 2022 წლის 15 სექტემბრის #4903 წერილით სააგენტოში სასარგებლო წიაღისეულის (მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს) ღია კარიერული წესით მოპოვების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაზე.

გარდა ამისა, თანდართული სახით გიგზავნით გარემოსდაცვითი ექსპერტის, ბატონი მამუკას გვილავას მიერ შესრულებულ იმავე დოკუმენტის ანალიზს.

საჯარო განხილვის ხელახლა ჩატარების საჭიროება

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს ეროვნული სააგენტოს (შემდგომში, ასევე, „სააგენტო“) შენიშვნების საფუძველზე RMG-ის მიერ (შემდგომში, ასევე „კომპანია“) მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის ამგვარი მოდიფიცირება (დაზუსტება) თავდაპირველად წარდგენილი დოკუმენტის არსებითი ხასიათის ცვლილებად უნდა ჩაითვალოს და შესაბამისად, ხელახლა უნდა გატარდეს საქართველოს კანონით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გზშ ანგარიშის წარდგენის შემდგომ გათვალისწინებული ღონისძიებები, მათ შორის, განახლებული ანგარიშის საჯარო განხილვა. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, რომ დამატებით დოკუმენტში დაზუსტდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა პროექტის არაქმედების (ნულოვანი) აღტერნატივის განხილვა, საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ჰაბიტატებზე, ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება, კარიერის წყლების გაწმენდა-გამოყენების, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რეკულტივაციის და სხვა საკვანძო საკითხები. გარდა ამისა, თავდაპირველ დოკუმენტაციაში 59 გვერდის მოცულობის ცვლილება/დამატება, რომ აღარაფერი ვთქვათ დანართებზე, უმნიშვნელო მოდიფიცირებად ვერ ჩაითვლება; შესაბამისად, მოსახლეობისთვის პროექტის მახასიათებლებისა და გავლენების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება მოითხოვს ანგარიშის ხელახლა განხილვას.

კომპანიის მიერ ადგილობრივ მოსახლეობის ნაწილთან გაფორმებული მემორანდუმის საკითხი

¹ აქვე შევნიშნავთ, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებაზე განცხადების ავტორი და დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია RMG Copper-ია. მიუხედავად, კომპანიებს შორის არსებული აფილიაციისა, მიგვაჩნია, რომ ვინაიდან, RMG Gold-ი წარმოადგენს სხვა იურიდიულ სუბიექტს, სამართლებრივი გამართულობის უზრუნველსაყოფად, სააგენტოში დამატებითი ინფორმაციაც სწორედ დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებლის მიერ უნდა ყოფილიყო წარდგენილი.

სააგენტოს მიერ 2022 წლის 8 აგვისტოს #21/4232 წერილით „გავლენის ზონაში არსებულ მოსახლეობასთან“ დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შესახებ გამოთქმულ შენიშვნაზე პასუხად კომპანია კიდევ ერთხელ აპელირებს (კომპანიის მიერ წარდგენილი დოკუმენტის 49-ე გვერდი) სოფლის მაცხოვრებელთა მცირე ნაწილთან გაფორმებულ „მემორანდუმზე“. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ „მემორანდუმის“ შინაარსი, ისევე როგორც „სამუშაო ჯგუფთან“ მისი დადების ფორმა უკიდურესად პრობლემურია შემდეგ გარემოებათა გამო:

- კომპანიის მიერ სააგენტოში წარდგენილი გზშ ანგარიშის არატექნიკურ რეზიუმეში აღნიშნულია, რომ „პროექტის განხორციელება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე ნეგატიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. ამასთან, არ არსებობს ფიზიკური ან ეკონომიკური განსახლების რისკები.“ ამავდროულად, კომპანიის მიერ სოფლის ხუთ მცხოვრებთან („სამუშაო ჯგუფის“ წევრები) გაფორმებული „მემორანდუმის“ პირველ მუხლში აღნიშნულია, რომ სოფელ მუშევანიდან ერთი კილომეტრის დაშორებით არსებული მიწის ნაკვეთი „ძალიან იშვიათად და მხოლოდ დრო და დრო გამოიყენება ერთეული ადგილობრივი მოსახლეობის (ოჯახების) მიერ და იგი არ წარმოადგენს სოფელ მუშევანის ძირითად საძოვარს“. დოკუმენტში, სამწუხაროდ, დაზუსტებული არ არის, მაინც რამდენი „ერთეული“ ოჯახი იყენებს ხსენებულ მიწის ნაკვეთს, ნებისმიერ შემთხვევაში, ნათელია, რომ კომპანია თავადვე ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, როდესაც გზშ ანგარიშში მიუთითებს, რომ პროექტის შედეგად ეკონომიკურ განსახლებას ადგილი არ ექნება. სინამდვილეში, ტრადიციულ საკუთრებაში მყოფი (თუნდაც დაურეგისტრირებელი და არაფორმალიზებული) მიწის ნაკვეთის კომპანიის მიერ მოპოვებითი სამუშაოების მიზნით გამოყენება წარმოადგენს ეკონომიკური განსახლების ტიპურ მაგალითს, რომელიც ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტებში ხშირად არის მოხსენიებული როგორც პრობლემური პრაქტიკა; მოცემულ შემთხვევაში, სოფლის მოსახლეობისთვის განსახილველი მიწის მნიშვნელობას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მემორანდუმის ტექსტის მიხედვით კომპანია გასცემს დაპირებას, სანაყაროს (რომელიც აღნიშნულ მიწაზე უნდა მოეწყოს) ათვისება დაიწყოს ეტაპობრივად, შეთანხმების გაფორმებიდან ორი წლის შემდეგ.
- „მემორანდუმის“ მიხედვით, მოსახლეობა უარს აცხადებს, გამოიყენოს საძოვრები ხოლო სანაცვლოდ კომპანია მისი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოთქვამს მზაობას წყალმომარაგების პროექტის განხორციელების თაობაზე. რეალურად, სოფლის ტრადიციული საკუთრების კომპანიის მიერ გამოყენება ექვემდებარება სათანადო წესით კომპენსირებას და ის ვერ იქნება კომპანიის კეთილი ნების თუ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის საგანი. ეს უკანასკნელი, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, როგორც წესი, გაგებულია, როგორც კომპანიის მიერ გაწეული დამატებითი ძალისხმევა და მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებას ემსახურება და, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს კონკრეტული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ გასაღებ

ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში კი კომპანია კეთილ წებად ასაღებს სოფლის საძოვრის სანაცვლოდ გარკვეული ხარჯის გაწევას, რაც ისედაც მისი სამართლებრივი ვალდებულებაა.

- განსახილველი „მემორანდუმის“ გაფორმებით კიდევ ერთხელ იჩინა თავი თვითნებურმა პრაქტიკამ, რომლის მსგავსი შემთხვევები სხვა რეგიონებშიც დაფიქსირებულა, როდესაც კომპანია გარკვეული „სამუშაო ჯგუფის“ წევრებს ეპყრობა როგორც სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს (ისინი არიან „მემორანდუმის“ მხარეები, ხელშეკრულებით მათვე ენიჭებათ უფლება, გადაწყვიტონ, როგორ დაიხარჯება სოფლისთვის განკუთვნილი სამასი ათასი ლარი). მაშინ როდესაც, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, მემორანდუმის გაფორმებას სოფლის ინტერესების წარმომადგენლებად მათი არჩევის დემოკრატიული და ჩართულობითი პროცესი წინ არ უძროდა. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ტიპის პრობლემური პროცესის მოსახლეობასთან ადეკვატურ კომუნიკაციად მიჩნევა პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა უფლებრივ ნორმებთან, რომლებიც პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემებთან სათანადო კონსულტაციების ჩატარებას და მათგან თანხმობის მოპოვებას რეალურ მცდელობას მოითხოვს (მონაწილეობის სტანდარტებზე ვრცლად იხილეთ ქვემოთ).
- „მემორანდუმის“ 2.2 პუნქტის თანახმად, კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ ორასი ათასი ლარი ხუთი წლის განმავლობაში სოფელში მცირე ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოხმარდება. 2.3 პუნქტი კი მიუთითებს, რომ სამასი ათასი ლარი ასევე ხუთი წლის განმავლობაში გადანაწილდება სხვადასხვა პროექტზე „სამუშაო ჯგუფის შეხედულებებისამებრ“. შესაბამისად, აბსოლუტურად ბუნდოვანია, როგორ მოხდება „მემორანდუმით“ გათვალისწინებული პროექტების შერჩევა და არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ აღნიშნული პროექტები სოფლის მცხოვრებლების რეალური საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ იქნება მიმართული.
- ბუნდოვანია მემორანდუმის ის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ხელმომწერები ადასტურებან, რომ პროექტის განხორციელება მათზე არსებით ზემოქმედებას არ იწვევს. აღსანიშნავია, რომ „მემორანდუმის“ ტექსტში საერთოდ არ არის დაზუსტებული მოპოვებითი საქმიანობის მასშტაბი, და ასეთ შემთხვევაშიც, მოსახლეობა წინასწარ ვერაფრით განსაზღვრავს, რეალურად როგორი გავლენა ექნება მათზე საქმიანობას, რომელიც არ კი დაწყებულა. შესაბამისად, მხარეთა შეთანხმების ამგვარ დაშვებაზე დაფუძნება გაუგებარ სამართლებრივ მოცემულობას ქმნის და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შესაბამისი სამართლებრივი, ტექნიკური და ექსპერტული მხარდაჭერის გარეშე დარჩენილ მოსახლეობასთან კომპანიების მიერ გაფორმებული ამ ტიპის გარიგებები უკიდურესად პრობლემურია, და რომ აუცილებელია, სახელმწიფომ იკისროს გაცილებით აქტიური როლი განვითარების პროექტების, მათ შორის, სამთო-მოპოვებითი საქმიანობის

შედეგად მისაღები სარგებლის ადგილობრივი მოსახლეობისთვის განაწილების პროცესში და შეიმუშაოს ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემების ინტერესების სამართლიანად და თანაზომიერად გათვალისწინებას, მათთვის მიყენებული ზიანის მხედველობაში მიღებით.² გარდა ამისა, თუკი საუბარია სარგებლის განაწილების მცდელობაზე, ამას არ უნდა ჰქონდეს კომუნალური სერვისების მიწოდების სახე, როგორც ამ შემთხვევაში ხდება, არამედ უნდა მოხდეს მოსახლეობის შემოსავლების და ცხოვრების ხარისხის იმგვარად გაუმჯობესება, რაც ცდება ელემენტარული საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

- გაუგებარია „მემორანდუმის“ სამართლებრივი ბუნება და ის, თუ რა დატვირთვა აქვს „მემორანდუმის“ ბოლოს მოცემულ სოფლის მცხოვრებელთან ხელმოწერებს, რომლებიც თავად მემორანდუმის ტექსტის მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტის მხარეებს არ წარმოადგენენ.
- სოფლის მცხოვრებელთა ნაწილის მონათხრობის მიხედვით, რომ მათთვის ბოლომდე ნათელი არ ყოფილა „მემორანდუმის“ პირობები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ „მემორანდუმი“ შეიცავს გარკვეულ დათქმებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აწარმოოს საქმიანობა კომპანიამ, „მემორანდუმში“ არსად ცხადად არ არის აღნიშნული, რომ მოსახლეობა თანხმდება „მუშევანი 2“ საბადოს ოპერირებას ან ის გარემოება, რომ კომპანია ერთი მილიონი ლარის დახარჯვის სანაცვლოდ იღებს მოსახლეობის თანხმობას. „მემორანდუმის“ პირველი მუხლი იწყება შემდეგი ტექსტით, „ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე და ფუჭი ქანის სანაყაროსთვის გათვალისწინებულ ტერიტორიაზე... ფიქსირდება მდელო,“ ისე რომ არსად „მემორანდუმში“ განმარტებული არ არის, თუ ზუსტად გულისხმობს პროექტი. ამგვარი ბუნდოვანი ტექსტი იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ კომპანია მიზნად მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას ისახავდა. გარდა ამისა, ჩნდება ეჭვი, რომ კომპანია ბოროტად იყენებს სოფლის მცხოვრებლების მოწყვლადობას და ისეთ საბაზისო სერვისებზე წვდომის არარსებობას, როგორიცაა სასმელი წყალი, რისი მიწოდების უზრუნველყოფაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს, პასუხისმგებლობაა.
- „მემორანდუმი“ ითვალისწინებს 100 ოჯახის წყლით უზრუნველყოფას, თუმცა, ვინაიდან, ჩვენი ინფორმაციით, სოფელში მეტი ოჯახი ცხოვრობს, ნათელი არ

² აღსანიშნავია, რომ საქართველოს წიაღის სექტორის სტრატეგიის მიხედვით, რომელიც მთავრობის 2019 წლის 9 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცდა, გამოწვევად არის დასახული ის გარემოება, რომ საქართველოში „არ ხდება სტანდარტული „სათემო განვითარების შეთანხმებების (CDA)“ გაფორმება საბადოების ოპერატორებსა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებს შორის, არ არსებობს დადგენილი გარანტიები წიაღისეულის მოპოვებით მიღებული სარგებლის განაწილებასთან დაკავშირებით“ (გვ. 11).

არის, რა პრინციპით შეირჩევა სოფლის ის ოჯახები, რომლებსაც წყალი მიეწოდება და რომლები დარჩებიან წყლის გარეშე, მაშინ, როცა პროექტით გამოწვეული უარყოფით ზემოქმედებას მთელი სოფელი დაექვემდებარება. არსებობს რისკი, რომ კომპანია წყალს შეუყვანს მისდამი ლოიალურად განწყობილ მოსახლეობას, ხოლო პროექტის მოწინააღმდეგე იჯახებს წყლის გარეშე დატოვებს. თუ ეს მართლაც ასეა, ამგვარი დისკრიმინაციული მიდგომის სახელმწიფოს მიერ დაშვება უკიდურესად პრობლემურია და იმედს ვიქონიებთ, კომპანიის მიერ წყლით მომარაგების პროექტის განხორციელების შემთხვევაში შესაბამისი უწყებები უზრუნველყოფენ, რომ მთელი სოფლისთვის წყლის მიწოდება განხორციელდეს გონივრული და სამართლიანი თანმიმდევრობით, რომელსაც არაფერი ექნება საერთო კომპანიის მიმართ კონკრეტული ოჯახების ლოიალობის ხარისხთან.

- მართალია, განსახილველი დოკუმენტის დასახელება „მემორანდუმია“, თუმცა თავად ტექსტში მრავალჯერ არის გამოყენებული ტერმინი „ხელშეკრულება“. როგორც ცნობილია, მემორანდუმი, როგორც წესი, არასავალდებულო ძალის დოკუმენტად მიიჩნევა და საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც სხვადასხვა სამთავრობო უწყებები ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმებს აფორმებენ სხვა სახელმწიფოს შესაბამის დაწესებულებებთან, მაშინ, როდესაც არ სურთ ხელშეკრულებას საერთაშორისო ხელშეკრულების (რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა) სტატუსი მიანიჭონ. მოცემული დოკუმენტის ტექსტში ტერმინების - „მემორანდუმი“ და „ხელშეკრულება“ - ერთდროულად გამოყენება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ კომპანია გარკვეული ბუნდოვანების შექმნას განზრახ ცდილობს: ერთი მხრივ, ის აცნობიერებს, რომ ბოლომდე ცხად სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება და თავს არ იბოჭავს, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი ნიუანსების არმცოდნე მოსახლეობისთვის „მემორანდუმით“ ხელ-ფეხის შეკვრას, ვალდებულების შთაბეჭდილების შექმნას და წინააღმდეგობის განეიტრალებას ცდილობს.
- საინტერესოა ის გარემოებაც, რომ „მემორანდუმით“ გათვალისწინებული კომპანიის ვალდებულებების ნაწილი გარემოსდაცვითი კანონმდებლობით არის განსაზღვრული და მას ისედაც ევალება, მაგალითად, ატმოსფერული ჰაერისა და წყლის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; ამასთან, გაუგებარია, როგორ შეიძლება, საცხოვრებელი სახლების და კულტურული მემკვიდრეობის დაუზიანებლობა განსახილველი მემორანდუმის საგანს წარმოადგენდეს, მაშინ, როდესაც, თავისთავად ცხადია, რომ კომპანიას აღნიშნულის უფლება ისედაც არ აქვს.

საქმიანობის დანაწევრება და პროექტის კუმულაციური ზემოქმედება

პროექტის კუმულაციური ზემოქმედების უგულებელყოფის და საქმიანობის დანაწევრების მავნე პრაქტიკის შესახებ ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნასთან დაკავშირებით, კომპანია აღნიშნავს, რომ „კანონმდებლობიდან არ

გამომდინარეობს, რომ სალიცენზიონ ფართობის ან სალიცენზიონ ფართობით გათვალისწინებული სამთო მინაკუთვნის ფართობით უნდა შეფასდეს საჭიროებს თუ არა დაგეგმილი საქმიანობა (წიაღისეულის მოპოვება) გზშ-ს ან სკრინინგის პროცედურას.“

კომპანია ეყრდნობა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველ დანართში მოცემულ ჩანაწერს, სადაც ნათქვამია, რომ გზშ პროცედურას ექვემდებარება წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია. კომპანიის ინტერპრეტაციაზე პასუხად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩანაწერიდან ასევე არ გამომდინარეობს, იმ შემთხვევებში, როდესაც ლიცენზიით გათვალისწინებული მოპოვების ფართობი 25 ჰექტარს აღემატება, გავლენის შეფასება არ უნდა გავრცელდეს ლიცენზიის სრულ ტერიტორიაზე. სხვა სიტყვებით, მართალია, კანონმდებლობა ადგენს, გზშ-ს დაქვემდებარებული მინიმალური მოპოვების ფართობი 25 ჰექტარია, თუმცა ეს არ იძლევა საქმიანობის დანაწევრების საფუძველს. კოდექსის შესაბამისი ნორმა რეალურად მხოლოდ ფართობის მინიმალურ ზღვრულ მნიშვნელობას ადგენს და ერთმანეთისგან საერთოდ არ მიჯნავს ლიცენზიის სრულ ფართობს, სამთო მინაკუთვნს და უშუალოდ დაგეგმილი მოპოვების არეალს.

სხვა სიტყვებით, ეს საკითხი საერთოდ არ არის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ დანართის რეგულირების საგანი. სამაგიეროდ, თავად კოდექსის მე-10 მუხლი მიუთითებს, რომ გზშ ანგარიში უნდა მოიცავდეს მსჯელობას საქმიანობის კუმულაციური ზემოქმედების შესახებ. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იმავე მე-10 მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტი დამატებით აზუსტებს, რომ კუმულაციური ზემოქმედების შეფასება მოიცავს „სხვა, არსებულ საქმიანობასთან ან დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედებას.“ ამგვარი ჩანაწერი პირდაპირ მიემართება განსახილველ შემთხვევას, როდესაც აშკარაა, რომ ლიცენზიით გათვალისწინებული ფართობი მნიშვნელოვნად აღემატება გზშ-ზე წარდგენილ საქმიანობას. ამ შემთხვევაში, კომპანიაც მიუთითებს, რომ შესაძლებელია მოპოვების არეალის გაზრდა ვინაიდან ლიცენზია გაცილებით მეტ ფართობზეა გაცემული. ამასთან დაკავშირებით კომპანია აღნიშნავს, რომ უკვე მაშინ როდესაც დანარჩენ ფართობზე დამტკიცდება მარაგები (თუ ეს ასე მოხდება), საჭირო იქნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურის ხელახლა გავლა, რა დროსაც შეფასდება როგორც მოქმედი აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობა.“ მოქმედ საქმიანობაში კი იგულისხმება მუშევანი 2-ის საბადო. თუმცა კომპანიის ამ მსჯელობაში მთლიანად უგულებელყოფილია ის გარემოება, რომ კუმულაციური ზემოქმედების შეფასება უნდა მოხდეს სწორედ პირველი საქმიანობის ე.ი. მუშევანი 2-ის საბადოზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას. საქმიანობის ხარჯთსარგებლივობის ანალიზის ფარგლებში პროექტის ხარჯი, მათ შორის, გარემოსდაცვითი „ხარჯიც“ (cost), სწორედ კუმულაციური ზემოქმედების მხედველობაში მიღებით უნდა განისაზღვროს. გარდა ამისა, მოსახლეობაც თავიდანვე უნდა იყოს ინფორმირებული პროექტის კუმულაციური ზემოქმედების შესახებ და სწორედ ამის საფუძველზე გამოთქვას თავისი პოზიცია პროექტთან დაკავშირებით.

მოპოვებითი საქმიანობის გავლენა ადგილობრივი თემის უფლებებზე და სოფლის მეურნეობაზე

ამ ტიპის განვითარების პროექტის განხორციელება და მოპოვების შედეგად სოფლის მიწების ათვისება მძიმე ეკოლოგიური ზეგავლენების გარდა, ასევე უკავშირდება ადამიანის უფლებების შეღავასის რისკებს, მათ შორის, ეკონომიკური განსახლება მოსახლეობას ართმევს წვდომას მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსებზე. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიწასთან, წყალთან და ზოგადად, ბუნებასთან, განსაკუთრებული კავშირი აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გლეხების უფლებების შესახებ 2019 წლის დეკლარაციაში³, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმულია გლეხების და სოფლად მცხოვრები ადამიანის როლი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოყვანაში და საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. აღსანიშნავია, რომ სოფელ მუშევანის მოსახლეობაც აქტიურად არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და კლიმატის ცვლილების და მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, სახელმწიფომ გადაწყვეტილების მიღებისას ეს გარემოებაც უნდა მიიღოს მხედველობაში და შეეცადოს არამდგრადი მოპოვებითი ინდუსტრიის ნაცვლად, ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუწყოს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ „არ ემ ჯის“ მიერ წარმოებული სამუშაოების შედეგად არაერთ სოფელში აღინიშნება ნიადაგის დაბინძურება⁴ და მოსახლეობა ჩივის, რომ იქ მოყვანილი მოსავალი სიცოცხლისთვის სახითათოა ან საერთოდ არ მოღის. ზემოხსენებული დეკლარაციის მე-2 მუხლი მოითხოვს, რომ სახელმწიფო უწყებები ვალდებული არიან, იმგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც გავლენას ახდენს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე, კეთილსინდისიერად აწარმოონ მოლაპარაკებები და ითანამშრომლონ აღნიშნულ მოსახლეობასთან, სათანადოდ უპასუხონ მათ მოსაზრებებს, ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას არსებული ძალაუფლების დისბალანსი, რათა უზრუნველყოფილი იქნას თავისუფალი, ქმედითი, რეალური და ინფორმირებული მონაწილეობა.

სამწუხაროდ გზშ-ს ანგარიშის თუ სკოპიგის ანგარიშის სოფელში განხილვა, რომელსაც რეალურად პრეზენტაციის ფორმა აქვს, არ უზრუნველყოფს ამგვარ რეალურ ჩართულობას და მოვალეობის მოხდის სახეს იღებს, რაც გაერთ-ს სპეციალური მომხსენებლის მიერ ერთ-ერთ პრობლემადაა გამოკვეთილი.⁵

³ იხ., United Nations Declaration on the Rights of Peasants and Other People Working in Rural Areas, 2019, A/RES/73/165.

⁴ იხ., სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის 2018 წლის 13 ივნისის სამეცნიერო დასკვნა „ ტყვია, როგორც კანცეროგენური საფრთხე გარემოში და ადამიანის ყოფაცხოვრებაში“, რომელშიც აღნიშნულია, რომ, მაგლითად, სოფელ ბალიჭმი „ტყვიის კონცენტრაცია ნიადაგებში მნიშვნელოვნად აღემატება [საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი] ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას“ (გვ. 20) და რომ, „ბოლნისისა და დმანისის რაიონებში ტყვიის მატების მაღალი ტენდენციაა, რაც გამოწვეულია RMG-ის სამთო მოპოვებითი საქმიანობით“ (გვ. 15).

⁵ Report of the Special Rapporteur on the human rights of internally displaced persons, 18 July, 2022, A/77/182, ანგარიშის მიხედვით, კონსულტაციას ხშირად აქვს „„გრაფის მონიშვნის“ (“tick-the-box”) სახე და არ წარმოადგენს ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემის პროცესში ჩართვის რეალურ ძალისხმევას“, 48-ე აბზაცი.

აღსანიშნავია რომ გზშ პროცედურის ფორმალური ხასიათი საქართველოს შემთხვევაში დამძიმებულია იმ გარემოებითაც, რომ წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემა წინ უძღვის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების გავლას, შესაბამისად კომპანიას, რომელმაც განახორციელა წინასწარი შესწავლა, უკვე აქვს გარკვეული მოლოდინი, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებაც დადებითი იქნება. გარდა ამისა, განსახილველ შემთხვევაში გადაწყვეტილების გამცემი ორგანოს თანამშრომლების დამოუკიდებლობას ერთგვარ საფრთხეს უქმნის ისიც, რომ „არ ემ ჯი“ პრაქტიკულად „იმუქრება“, როდესაც სააგენტოსთვის წარდგენილ დოკუმენტში აღნიშნავს, რომ [მუშევანის] „საბადოს ექსპლუატაციაში გაშვების (დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების) გარეშე შეუძლებელი იქნება სამთო და გადამუშავების სამუშაოების უწყვეტად გაგრძელება, რაც ნეგატიურად აისახება დასაქმებულ პერსონალზე, რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მაჩვენებელზე.“

უთნიური უძინველებელის წარმომადგენლებისგან შემდგარი თემის მონაწილეობა გადაწყვეტილების მითხვის პროცესში

„გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე წვდომის შესახებ“ ორჟუსის კონვენციის მიხედვით, რომელიც საქართველოსთვის, როგორც ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის, სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტია, საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე, რათა შეძლოს ქმედითი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში (მუხლი 6).

განსახილველ შემთხვევას, მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებული ზოგადი გამოწვევების გარდა, აქვს სხვა განზომილებაც; როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში თავად კომპანიაც აღნიშნავს, პროექტის არეალი ძირითადად ეთნიკური აზერბაიჯანელებითაა დასახლებული, რაც, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იქნას კანონმდებლობით დადგენილი მონაწილეობის მექანიზმების დაგეგმვის და განხორციელებისას.

კომპანია წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნავს, რომ „როგორც სკოპინგის, ასევე გზშ-ს ანგარიშების განხილვა სოფ. მუშევანში უზრუნველყო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად. სოფლის მოსახლეობა კანონით დადგენილ ვადებში ინფორმირებული იყო გზშ-ს ანგარიშის განხილვის შესახებ. ინფორმაცია განთავსებული იყო როგორც უშუალოდ სოფელში, ასევე სამინისტროს ვებ-გვერდზე. გზშ-ს ანგარიშის განხილვაზე სოფ. მუშევანის მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო წარმოდგენილი“ ხოლო საჯარო განხილვისას უზრუნველყოფილი იყო თარჯიმის მომსახურება.

მოსახლეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საჯარო განხილვას სოფლის 600 მცხოვრებიდან მხოლოდ 70 (დაახლოებითი მონაცემი) ესწრებოდა, ხოლო საჯარო განხილვის შესახებ ცნობა გამოკრული იყო მხოლოდ ქართულ ენაზე. ადგილობრივების ცნობით, განხილვაზე ერთი თარჯიმის არსებობა სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა მათვის ინფორმაციის სრულყოფილად გადაცემას. გარდა ამისა,

მოსახლეობისთვის მიწოდებული არ ყოფილა უმცირესობის ენაზე თარგმნილი გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში ან, როგორც მინიმუმ, აღნიშნული ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე. აზერბაიჯანულ ენაზე შესრულებული თარგმანის სამინისტროს ვებ-გვერდზე მოძიება ვერც ჩვენ შევძელით. ენის ბარიერის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ ამგვარი პრაქტიკა ორჰუსის კონვენციის და უმცირესობათა უფლებების მარეგულირებელი საერთაშორისო ინსტრუმენტების უხეშ დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული უმცირესობების შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია (რომლის მხარე საქართველოცა), პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ მათ შორის, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში თანასწორების ხელშესაწყობად აუცილებელია, სახელმწიფოებმა მხედველობაში მიიღონ ის სპეციალური პირობები, რომლებშიც უმცირესობის წარმომადგენლები იმყოფებიან (მუხლი 4) და აქ პირველ რიგში ენის საკითხი უნდა მოვიაზროთ. ამ ვითარებაში გამოდის, რომ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას ინფორმაცია მხოლოდ ზეპირსიტყვიერად მიეწოდა და მათ არ აქვთ საშუალება, წერილობითი ფორმით არსებულ დოკუმენტაციაში დააზუსტონ ან გადაამოწმონ მათვის საინტერესო და საჭირობოროტო საკითხები.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი ასევე მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა ყველა პირობები უნდა შექმნან უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონკრეტული საკითხები უშუალოდ მათ ეხებათ (მუხლი 15). მუშევანის საბადოს დაგეგმილი მოპოვების პროექტი, რომელიც არსებითად შეცვლის მათ საცხოვრებელ გარემოს, რა თქმა უნდა, რომ სწორედ ამგვარ საკითხად უნდა მივიჩნიოთ და საქართველოს სახელმწიფომაც სათანადოდ უნდა გააცნობიეროს თავისი ვალდებულება, რომ ასეთი „პირობების შექმნად“ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ფორმალური და ზოგადი გზშ პროცედურა, რომელიც ადგილობრივების ენის ბარიერსაც კი არ ითვალისწინებს და საკვანძო დოკუმენტაციის უმცირესობის ენაზე თარგმანს არ უზრუნველყოფს.

ნიშანდობლივია, რომ ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი მრჩეველთა საბჭო, რომელიც ეროვნული უმცირესობების შესახებ ჩარჩო კონვენციის შესრულებას აფასებს, საქართველოს შესახებ 2019 წელს მომზადებულ დოკუმენტში, პრობლემურად გამოყოფს პანკისის ხეობაში ადგილობრივების ქმედითი მონაწილეობის გარეშე დაგეგმილ პიდროლექტროსადგურებს და იქვე გასცემს რეკომენდაციას, რომ ეროვნული უმცირესობებთან ქმედითი კონსულტაცია უნდა შედგეს ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის და განხორციელების დაწყებამდე.⁶

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაუგებარია განსახილველ დოკუმენტში მოცემული კომპანიის დასკვნა, რომ „მოსახლეობასთან დამატებითი კომუნიკაციის საჭიროება ამ ეტაპზე არ დგას“. ფაქტია, რომ საწინააღმდეგო

⁶ Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities, Third Opinion on Georgia, March 7, 2019, ACFC/OP/III (2019) 002, 135-ე აბზაცი.

დასკვნამდე მივიღა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო - გარემოს ეროვნული სააგენტო, რომელმაც კომპანიისგან სწორედაც რომ აღნიშნულ მოსახლეობასთან კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა მოითხოვა (სააგენტოს 2022 წლის 8 აგვისტოს წერილი). მიგვაჩნია, რომ კომპეტენტური უწყების ცალსახა მითითების ამგვარი აშკარა უგულებელყოფა რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს; სააგენტოს შენიშვნის შეუსრულებლობის პირობებში დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ საქმე შეეხება ისეთ საკვანძო საკითხს, როგორიც გავლენის ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან კომუნიკაციაა.

პატივისცემით,

თამთა მიქელაძე

